პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და
ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и
организаций Грузинской ССР и Грузинского
республиканского совета профсоюзов

30
იანვარი

ოთხშაბათი,
1963 წ.
№ 21 (2126)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 2 კაპ.

„ტრუდი“ ნახევარფინალში გავიდა

მოსკოვის „ტრუდის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა პრაღაში ჩაატარა მეორე მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე „სპარტაკ-სოკოლოვოსთან“. პირველი მატჩი მოსკოვში „ტრუდმა“ მოიგო. მოსკოველებმა ამჯერადაც იმარჯვეს და მასპინძლები დაამარცხეს მინიმალური ანგარიშით — 9:8. ნახევარფინალში „ტრუდის“ ხელბურთელები შეხვდებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონს.

ისინი წავლენ პრაღაში

ტალინში გაიმართა საკავშირო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებას უნდა გამოევლინა ნაკრების ის კანდიდატები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას დაიცავენ პრაღის მორიგ მსოფლიო ჩემპიონატზე.

ქალთა ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარეს მოსკოველმა ზ. რუდნოვამ და ესტონელმა ე. ლესტალმა. ვაჟთა შორის პრაღაში წასვლის უფლება მოიპოვეს მოსკოველმა ა. ოლევინმა და დ. ბრონცკიმ.

პრაღის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც აპრილში გაიმართება, საბჭოთა სპორტსმენებთან იბრძოლებენ ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ჩინეთის, პოლონეთის, გდრ-ს, იაპონიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

კვლავ რეკორდები

მოციგურეთა საერთაშორისო ტურნირზე მედეოში კვლავ წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ე. გრიშინმა, რომელმაც წინა დღეს 500 მეტრზე რბენაში აჩვენა ფენომენალური შედეგი — 39,6, მეორე დღეს ახალ წარმატებას მიაღწია. იგივე მანძილი მან გაირბინა 39,5 წამში და გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი, რომელმაც მხოლოდ ერთ დღეს იარსება.

მსოფლიო რეკორდით აღინიშნა შეჯიბრება 3 000 მეტრზე რბენაშიც. საბჭოთა სპორტსმენმა ო. შაბაროვმა მანძილი დაფარა 4.37,2 წუთში.



1962 წლის საქართველოს მხატვართა გამოფენის ექსპონატებიდან. მხატვარ თ. ჯაფარიძის ნამუშევარი — „ბაკურიანი“.

საერთაშორისო ოსტატები ტანვარჯიშში

უკანასკნელ პერიოდამდე საერთაშორისო ოსტატის წოდებათა მინიჭება ხდებოდა მხოლოდ სროლასა და ჭადრაკში, მაგრამ ახლა ამ წოდებას მიიღებენ ის ტანმოვარჯიშეებიც, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საერთაშორისო შეხვედრებში, ოლიმპიურ თამაშებზე, ან მსოფლიო ჩემპიონატებში. ამისათვის მათ უნდა მოაგროვონ ქულათა მაქსიმუმის 90 პროცენტი მაინც. ეს დადგენილება მიიღო ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ, რომელმაც უკვე გამოაცხადა პირველ საერთაშორისო ოსტატთა სია.

საბჭოთა კავშირიდან საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღო 16-მა სპორტსმენმა. ესენი არიან: ლ. ლატინინა, თ. მანინა, ი. პერვუშინა, პ. ასტახოვა, ს. მურატოვა, ლ. კალინინა, მ. ნიკოლაევა, ბ. შახლინი, ი. ტიტოვი, პ. სტოლბოვი, ვ. კერდემელიდი, ვ. ლისიცკი, ლ. ლეონტიევი, ა. აზარიანი, ვ. პორტნოი და ნ. მილიგულო.

შესარჩევ ტურნირზე

ამას წინათ მოსკოვში მოეწყო ტოკიოს ოლიმპიური თამაშების კანდიდატთა შესარჩევი საკავშირო ტურნირი ძიუ-დოში. მასში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდა რამდენიმე მოჭიდავე. ტურნირის შემდეგ ნაკრებში მოხვდნენ ა. კიკნაძე, ა. ქიბროწაშვილი, დ. ბერუაშვილი, თ. ჩიკვილაძე, გ. ნონიკაშვილი და თ. არაბული.

მსუბუქ წონაში პირველი ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა რ. ჯლამაძემ. მძიმე წონაში ა. კიკნაძემ პირველი შეხვედრა მოუგო გ. შულცს, შემდეგ დაამარცხა ე. შაპოშნიკოვი. მან მაღალ დონეზე ჩაატარა მომდევნო შეხვედრებიც და პირველი ადგილი მოიპოვა, რის შედეგადაც იგი ნაკრებში შეყვანილ იქნა პირველ ნომრად. მძიმე წონაში მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოველი ა. კულიკი, მესამეზე — დ. ბერუაშვილი. სულ ნაკრების კანდიდატთა სიაში მოხვდა 21 სპორტსმენი. მათგან საუკეთესონი შეირჩევიან წვრთნისა და იმ ამხანაგური შეხვედრების დამთავრების შემდეგ, რომლებიც მოეწყობა საფრანგეთის, შვეციისა და ავსტრიის ძიუ-დოისტებთან.

ქ. ნინიაშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

• • •

სურათზე: დ. ბერუაშვილი (მარცხნივ) საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ძიუ-დოისტების შეხვედრის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

სიახლენი კლასიფიკაციაში

ცურვა

ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატების პროგრამაში შეტანილია კომპლექსური ცურვა 400 მეტრზე. ამიტომ სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ ცურვის საკავშირო კლასიფიკაციაში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან შეიტანა დამატება, რომლის მიხედვით ოსტატობის მოსაპოვებლად საჭირო ნაჩვენები იქნას: ვაჟებისათვის 25 მ აუზში — 5.06,0; 50 მ აუზში — 5.12,0. ქალებისათვის 25 მ აუზში — 5.44,0; 50 მ აუზში — 5.50,0. I თანრიგის მისაღებად ვაჟებისათვის 25 მ აუზში — 5.29,0; 50 მ აუზში — 5.35,0. ქალებისათვის 25 მ აუზში — 6.12,0; 50 მ აუზში — 6.18,0. II თანრიგის მისაღებად ვაჟებისათვის 25 მ აუზში — 6.04,0; 50 მ აუზში — 6.10,0. ქალებისათვის 25 მ აუზში — 6.49,0; 50 მ აუზში — 6.55,0. III თანრიგის მოსაპოვებლად ვაჟებისათვის 25 მ აუზში — 7.07,0; 50 მ აუზში — 7.15,0. ქალებისათვის 25 მ აუზში — 7.52,0; 50 მ აუზში — 8.00,0. ჭაბუკთა თანრიგის მისაღებად ვაჟებისათვის 25 მ აუზში — 7.17,0; 50 მ აუზში — 7.25,0. ქალებისათვის 25 მ აუზში 8.12,0; 50 მ აუზში — 8.20,0. ჭაბუკთა თანრიგი დაწესდა აგრეთვე 200 მ კომპლექსურ ცურვაში. იგი ვაჟებისათვის ასეთია: 25 მ აუზში — 3.21,0; 50 მ აუზში — 3.25,0. ქალებისათვის 25 მ აუზში — 3.56,0; 50 მ აუზში — 4.00,0.

შეხვედრა ნაკრების წევრებთან

ბაკურიანში მოეწყო შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრების წევრებთან სათხილამურო სპორტში, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებთან — კ. წაქაძესთან, ი. ჯანგობეგოვთან, აგრეთვე შ. კოზანაშვილთან. ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ფ. ნავერიანმა, საქართველოს სათხილამურო სპორტის მთავარმა მწვრთნელმა ა. არხანგელსკიმ, ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო კათედრის მასწავლებელმა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მ. გავამ ილაპარაკეს გამოჩენილ ქართველ მოთხილამურეთა მიერ განვლილი გზის შესახებ და უსურვეს მათ შემდგომში ახალი გამარჯვებებით ასახელონ მშობლიური რესპუბლიკა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა კ. წაქაძე.

ჭადრაკის სამეფო

ალბათ, ეს ერთადერთი სკოლაა მსოფლიოში, სადაც დღიურებში და საკლასო ჟურნალებში მოწაფეებს ნიშნებს უსვამენ... ჭადრაკის თამაშისათვის. მოსწავლეს იძახებენ დაფასთან და თუ, მაგალითად, მეექვსე კლასის მოწაფემ ვერ შეძლო პარტიის მოგება ზედმეტი ფიგურით, მასწავლებელი სრული სიმკაცრით უსვამს მას „ხუთიანს“ (ესაა ყველაზე დაბალი შეფასება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში).

ეს სკოლა იმყოფება სოფელ შტრებეკში, ჰალბერშტადტსა და ვერნიჰეროდს შორის. ჭადრაკს იქ ასწავლიან უკვე 140 წელია და გერმანული ჟურნალი „რაკეტა“ მოგვითხრობს, რომ ეს სოფელი ნამდვილ საჭადრაკო სამეფოს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ შორიდან, შტრებეკის მისასვლელ გზაზე, ჩანს 64-უჯრიანი ფლიუგერი სოფლის ყველაზე უფრო მაღალ შენობაზე — ეკლესიაზე. ერთადერთი მოედანი სოფელში გაკეთებულია შავი და თეთრი ფილებისაგან, რომელიც ვეება საჭადრაკო დაფას წარმოადგენს. სახლების ფასადებზე დამაგრებულია ჭადრაკის ფიგურები. ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ეწოდება „ჭადრაკი“, ხოლო კაფეს — „საჭადრაკო კუთხე“. აქ ვერ ნახავთ ერთ მოსახლესაც კი, რომელსაც სახლში არ ჰქონდეს ჭადრაკის კომპლექტი.

შტრებეკის საჭადრაკო ისტორია დაიწყო დაახლოებით 1000 წლის წინ, თითქმის სოფლის დაარსებასთან ერთად. 1011 წელს მეფე ჰენრიხ II შტრებეკის კოშკში დაამწყვდია თავისი მოწინააღმდეგე — გრაფი გუნცელინი. მარტოობაში მოქცეულმა გრაფმა ხისგან გამოჭრა ჭადრაკის ფიგურები, იატაკზე დახაზა დაფა და თავის ყარაულებს ასწავლა ჭადრაკის თამაში. მალე სოფელში დიდიან-პატარიანად ყველამ იცოდა თამაში. 600 წლის შემდეგ ფრიდრიხ-ვილჰელმ ბრანდერბურგელმა სოფლელებს აჩუქა ჭადრაკი ვერცხლის ფიგურებით, რომლის დაფა ახლაც ინახება შტრებეკში. დღემდე არსებობს „ჭადრაკის კოშკიც“. როგორც უწინ, ისე ახლაც შტრებეკის მკვიდრნი სტუმრებს ხვდებიან პურმარილით და წინადადებას აძლევენ ითამაშონ ორიოდე პარტია. სტუმარს უფლება არც აქვს უარი თქვას, თუმცა მას შეუძლია დამშვიდებით იყოს: შტრებეკელთა სტუმართმოყვარეობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასპინძლებმა აუცილებლად უნდა წააგონ სტუმართან.

„ცოცხალი ჭადრაკიც“ სწორედ შტრებეკში წარმოიშვა. აჭრელებულ, ნაირფერ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი მოძრავი „პაიკები“, „ლაზიერები“, „მხედრები“. დღესასწაულის დღეებში საჭადრაკო ბრძოლა წარმოებს სოფლის მოედანზე ან კლუბში.

გამარჯვებულებს შტრებეკში დიდი დაფასება აქვთ და სახლებში ხშირად ნახავთ შვილიშვილების საპატიო თასებსა და სიგელებს, მათი ბაბუებისა და ბებიების ნადავლთან ერთად. უფროსი კლასების წარჩინებულ მოსწავლეებს სოფლის სახელით ყოველწლიურად აძლევენ ყველაზე ძვირფას საჩუქარს — ჭადრაკს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი „ჭადრაკის სამეფოს“ ტრადიციებიდან: თუ ორ ვაჟს შეუყვარდებოდა ერთი ქალიშვილი, მათი ტრფობის დავა უნდა გადაეწყვიტა ჭადრაკს. მეტოქენი ერთმანეთს ეთამაშებოდნენ და გამარჯვებული ქორწინების უფლებას ღებულობდა, ხოლო დამარცხებული, გარდა სიყვარულის ობიექტის დაკარგვისა, იხდიდა საკმაოდ მოზრდილ ჯარიმას.

ა. რუბინოვი

ხელბურთმა ყველა კოლექტივში უნდა დაისადგუროს

საზოგადოებრივი მწვრთნელების, სპორტსმენების, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა დასახმარებლად



შევისწავლოთ ეს პოპულარული თამაში

ხელბურთის თამაშის სამშობლოდ ითვლება დანია, ხოლო მისი „დაბადების" თარიღად 1898 წელი. პირველად ეს თამაში შემოიღო დანიის კოლეჯის მასწავლებელმა ჰოლგარ ნილსონმა, რომელსაც გაკვეთილების შემდეგ თავისი მოსწავლეები გაუყვანია მინდორზე და მას მიერ შექმნილი თამაშის სწავლება დაუწყია.

არსებობს ხელბურთის თამაშის ორი ნაირსახეობა — 11:11 და 7:7. ჩვენ დაწვრილებით უკანასკნელს შევეხებით, რადგან საბჭოთა კავშირში მან 11:11-ზე უფრო მეტი პოპულარობა და გავრცელება ჰპოვა.

საერთოდ, სპორტის ეს სახეობა (განსაკუთრებით 7:7) 1953 წლამდე მხოლოდ უკრაინაში იყო კულტივირებული. უკანასკნელ წლებში კი მან სრული მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში და განსაკუთრებით კი ლიტვის, აზერბაიჯანის, საქართველოს რესპუბლიკებში, აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში. პირველი საკავშირო შეჯიბრება საბჭოთა კავშირში ჩატარდა 1959 წელს ხარკოვში, სადაც მონაწილეობდნენ 6 ქალაქის უძლიერესი კოლექტივები. ვაჟთა შორის აქ პირველი ადგილი მოიპოვა კიევის („ბურევესტნიკი") გუნდმა, ხოლო ქალთა შორის კაუნასელებმა („ჟალგირისი"). 1960 წელს ლენინგრადში, მეორე საკავშირო შეჯიბრებაზე, სადაც 8 ქალაქი მონაწილეობდა, გამარჯვებულთა შორის კვლავ ზემოთ აღნიშნული ქალაქების წარმომადგენლები იყვნენ, 1961 წელს კი საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილე ქალაქების რიცხვი ათამდე გაიზარდა. ეს შეჯიბრება ჩატარდა თბილისში, სადაც ვაჟთა შორის პირველობა არავის დაუთმო მოსკოვის „ტრუდმა", ხოლო ქალთა შორის მოსკოვის ოლქის ქ. კალინინგრადის „ტრუდმა". ამ შეჯიბრებებზე თბილისელი ხელბურთელები ყოველთვის საპრიზო ადგილების მიღმა რჩებოდნენ: და აი, 1962 წელს ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი. ამჯერად თბილისელმა ვაჟებმა თავის გულშემატკივრებს დიდი სიხარული მოუტანეს. ისინი I ჩემპიონატის პირველი ჩემპიონები და ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ.

საქართველოში ხელბურთი ძირითადად დანერგილია თბილისში, ბათუმში, გორში, ფოთში, რუსთავში, სოხუმში, ქუთაისში და კიდევ რამდენიმე ქალაქსა და რაიონში. უნდა შევნიშნოთ, რომ მან ჩვენს რესპუბლიკაში ყველგან მაინც ვერ ჰპოვა სათანადო გავრცელება და განვითარება. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში ნაკლებად აქცევენ ყურადღებას სპორტის ამ ახალი და პოპულარული სახეობის განვითარების საქმეს.

საჭიროა პერიფერიებში შეიქმნას ხელბურთელთა სექციები, მაგრამ საქმე ფერხდება იმით, რომ ადგილებზე არ იციან რა ზომის უნდა იყოს მოედანი და უფრო მეტიც, არ იცნობენ ხელბურთის თამაშის სრულიად ელემენტარულ წესებს. ასეთ პირობებში ხელბურთელთა სექციების შექმნა ძალზე ძნელი ხდება. ამ წერილში სწორედ ამ ელემენტარულ საკითხებზე გვინდა გავამახვილოთ ჩვენი ყურადღება.

ცნობილია, რომ ხელბურთი გუნდური სპორტული თამაშია. ეს თამაში ტარდება მართკუთხა მოედანზე, რომლის ზომები შეიძლება იყოს 30×15-დან 50×30 მეტრამდე (უმჯობესია, რომ მოედნის ზომა იყოს 40×20 მ). მცირე ასაკის ბავშვებისათვის შეიძლება უფრო მცირე ზომის მოედნებისა და კარების მოწყობა (მოედანი — 15×10 მ, კარი 2×1 მ). პირით ხაზებზე ეწყობა კარები. კარის სიმაღლე უნდა აღწევდეს 2 მეტრს, ხოლო სიგანე 3 მეტრს. კარის წინ ორი ნახევარწრე უნდა შემოიხაზოს. პირველის რადიუსია 6 მ, ხოლო მეორესი — 9 მეტრი. პირველი ნახევარწრე მეკარის ე. წ. „სამფლობელოა". ამ ზონაში შესვლის უფლება მეტოქე გუნდის არც ერთ წევრს არა აქვს. აკრძალული ზონის საზღვრის დარღვევა მხოლოდ ხტომში (ჰაერში) შეიძლება. ე. ი. თუ ბურთი ხტომშია ნატყორცნი: სწორედ ამის შემდეგ შეიძლება ამ ზონის ფარგლებს შიგნით მოთამაშის იატაკზე შეხება. მეორე ნახევარწრის საზღვრის ხაზიდან ასრულებენ თავისუფალ დარტყმებს — ეს დარტყმები ინიშნება წესების დარღვევისათვის (უხეში თამაში და სხვ.). ხელბურთში არის ე. წ. „პენალტი" — 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ყველაფერი ეს ნათლად ჩანს აქ მოყვანილ ნახაზზე.

ხელბურთელის ფორმა შეადგენს ტრუსებს, მაისურებსა და ფეხსაცმელს („კედები"). მცირე ზომის სათამაშო ბურთის მოხაზულობა უდრის 54-58 სანტიმეტრს, ხოლო წონა 325-475 გრამს. თამაშში მონაწილე გუნდების შემადგენლობაში 7-7 სპორტსმენია. ხელბურთს თამაშობენ როგორც დარბაზში, ისე ღია მოედანზე.

თამაშს იწყებს ერთ-ერთი გუნდი (წილისყრით) ბურთის გდებით მოედნის ცენტრიდან. როგორ უნდა ვატაროთ ბურთი? მხოლოდ ერთი ხელით, ისევე როგორც ეს კალათბურთის თამაშის დროს ხდება. თუ ბურთი ორივე ხელში დაიჭირე, მისი ტარება უკვე აღარ შეიძლება. იგი პარტნიორს უნდა გადასცე ან კარში დაარტყა. ბურთით ხელში სამ ნაბიჯზე მეტის გადადგმა არ შეიძლება. იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშემ ბურთით ხელში სამ ნაბიჯზე მეტი გადასდგა, გუნდს გარბენი ეთვლება, და აგრეთვე თუ მოთამაშე ბურთს 3 წამზე მეტ ხანს დააკავებს, ბურთს მისი მეტოქე გუნდი ეუფლება.

კარის მოედანზე, 6-მეტრიანი რადიუსის ხაზის შიგნით, თამაშის უფლება მხოლოდ მეკარეს აქვს. თამაშის ხანგრძლიობა 30 წუთიდან ერთ საათამდეა (თამაშის ხანგრძლიობას ადგენენ იმის და მიხედვით, თუ რა ასაკის ხელბურთელები თამაშობენ). საერთოდ, უფროსი ასაკის ხელბურთელები ოფიციალურ შეჯიბრებებზე შემდეგი ხანგრძლიობით თამაშობენ: ვაჟები ერთ საათს (თითო ტაიმი 30-30 წუთი), ქალები — 40 წუთს (თითო ტაიმი 20-20 წუთი). ტაიმებს შუა 10 წუთი შესვენებისთვისაა განკუთვნილი.

ხელბურთში არ არის ისეთი დაყოფა, როგორც ფეხბურთში ან ჰოკეიშია — დაცვის მოთამაშე და თავდასხმის მოთამაშე. „ყველა შეტევაზე, ყველა დაცვაში!" ეს დევიზი ხელბურთელს არ უნდა დაავიწყდეს.

ხელბურთის თამაშში იყენებენ ბურთით თუ უბურთოდ თამაშის ხერხების მრავალფეროვან კომპლექსს. უფრო ხშირად მოთამაშეები ბურთს ორივე ხელით იჭერენ, ბურთს გადასცემენ თავს ზემოდან გდებით, პირდაპირ, მოედანზე გდებით და სხვ. შეიძლება ბურთის ტარება „დრიბლინგის" წესით, ცრუ მოძრაობების გამოყენება და შემდეგ ბურთის გადაცემა ან კარში დარტყმა. კარში ბურთს არტყამენ ადგილიდან, რბენში, ხტომში და დაცემისას. მეკარე ბურთს „ულობავს" გზას კარისაკენ ხელებით, ფეხებით და მკერდით. შეიძლება ბურთის ხელიდან გაგდებინება, მეტოქის ბლოკირება ტანით, ხელებით და სხვ. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური შესაძლებლობების მიხედვით გუნდები თავდასხმის დროს იყენებენ მოთამაშეთა განლაგების შემდეგ ვარიანტებს: 4+2 და 5+1. თავდაცვაში ძირითადში იყენებენ ზონალური დაცვის სისტემას — 5+1, 4+2, 3+3 და სხვ.

სურათზე: საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი. მარცხნიდან — საბჭოთა ნაკრების წევრი ა. ექსეულიძე (№ 3) და ჯ. ცერცვაძე (№ 8) მეტოქეებთან ბრძოლის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

2 თებერვლიდან სპორტის სასახლეში

როგორც ცნობილია, პირველი დიდი წარმატება თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა კოლექტივმა გასულ წელს თბილისში გამართული „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ზამთრის არდადეგების პრიზის გათამაშებაზე მოიპოვა და პირველი ადგილი დაიკავა. ქალთა კოლექტივებს შორის პირველი ადგილი ქ. ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

წელს ეს შეჯიბრება კვლავ თბილისში ტარდება და სპორტის სასახლე 2 თებერვლიდან 9 თებერვლამდე პატარა ბურთის ოსტატებს დაეთმობათ. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ვაჟთა 8 და ქალთა 6 კოლექტივი. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქალთა გუნდების შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს თბილისის კოლექტივი. ეს მდგომარეობა იმან განაპირობა, რომ თბილისელები სტუდენტთა III სპორტულ თამაშებზე უძლიერესთა ექვსეულში ვერ მოხვდნენ. ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივის მონაწილეობა. ეს სწორედ ის კოლექტივია, რომელიც საბჭოთა კავშირის 1962 წლის I ჩემპიონატში „ატლეტასის" სახელწოდებით გამოდიოდა.

ქვემოთ მოგვყავს ცენტრალური საბჭოს ზამთრის არდადეგების პრიზის გათამაშების პირველი დღის კალენდარი:

2 თებერვალი

14 ს. **ვ.** — მეტალურგიული ინსტიტუტი (დნეპროპეტროვსკი)-უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი); 15 ს. 15 წ. **ქ.** — ფიზკულტურის ინსტიტუტი (მინსკი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (კიევი); 16 ს. 10 წ. **ვ.** — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (კიევი); 17 ს. 25 წ. **ქ.** — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ლენინგრადი)-პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი); 18 ს. 20 წ. **ქ.** — პედაგოგიური ინსტიტუტი (ჩერკასი)-პედაგოგიური ინსტიტუტი (კრასნოიარსკი); 19 ს. 15 წ. — შეჯიბრების საზეიმო გახსნა და აღლუმი; 19 ს. 30 წ. **ვ.** ფიზკულტურის ინსტიტუტი (ლვოვი)-„ბურევესტნიკი" (თბილისი); 20 ს. 45 წ. **ვ.** — ფიზკულტურის ინსტიტუტი (კაუნასი)-საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი).

შენიშვნა: ვ — ვაჟები, ქ — ქალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СССР СПАРТАКИАДА НАРОДОВ III 1963

სპარტაკიადის მზადების დღეებში

ჩვენი რესპუბლიკის მთელი სპორტული ძალები ჩაბმულია საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტული ღონისძიების, საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადებაში.



წელს უკეთესი მაჩვენებლებით

ცხენოსნობა სპორტის წამყვან სახეობებს წლების განმავლობაში ვერ უტოლდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი რესპუბლიკაში კეთილმოწყობილი ბაზების უქონლობა იყო, მაგრამ ამ ბოლო ხანებში თბილისის გარდა საცხენოსნო სპორტული ბაზები გაჩნდა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საცხენოსნო სპორტის საქმე.

წლების განმავლობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრთა უცვლელ კანდიდატებს ძირითადად თბილისელი სპორტსმენები წარმოადგენდნენ, ამ ბოლო ხანებში კი მათს გვერდით რაიონების წარმომადგენლებიც გვხვდებიან.

1962 წლის სპორტულ სეზონში თბილისელი სპორტის ოსტატები მ. ერისთავი, ა. დგებუაძე, ა. მანჯავიძე და პირველთანრიგოსანი ვ. პეშჩეროვი პირველად შევიდნენ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და გარკვეული წარმატებებიც მოიპოვეს. სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მათ ცალკეულ ქვესახეობებში მოიპოვეს I და II ადგილები.

1962 წელს გათვალისწინებული იყო 2 სპორტის ოსტატის მომზადება, ფაქტიურად კი ეს საპატიო წოდება რესპუბლიკის ოთხმა ახალგაზრდა სპორტსმენმა მოიპოვა. ესენია ზ. ემუხვარი, გ. კვარაცხელია (ზუგდიდი), ნ. ოჩინიკოვი (გალი) და მ. მეძმარიაშვილი (თბილისი).

შარშანდელ სეზონში განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების მიერ ბაქოში გამართულ სამატჩო შეხვედრაში მოპოვებული წარმატებები. ამ შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტსმენებმა ცალკეულ სახეობებში პირველობა არავის დაუთმეს და საერთო პირველი ადგილიც დამსახურებულად მოიპოვეს.

მიმდინარე წლის სეზონი ახალი, მეტად საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე აყენებს რესპუბლიკის მწვრთნელებს და სპორტსმენებს, მათი ძირითადი მიზანია სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადება. რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც წინ უსწრებს საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ სპორტულ ფორუმს, ჩვენი ძალების საიმედო დათვალიერება იქნება.

გადაწყდა რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენთა შეკრებაზე მოწვევა თბილისში, რომლებიც წვრთნას გაივლიან საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. ჩალის ხელმძღვანელობით.

დასანანია ის ფაქტი, რომ რაიონებიდან შეკრებაზე დღემდე არ ჩამოსულან სპორტსმენები, რომლებიც ამჟამად წვრთნას უნდა გადიოდნენ. თბილისელ სპორტსმენებთან უკვე კარგა ხანია წვრთნას გადის ზუგდიდელი სპორტსმენი ა. შონია.

ამჟამად ყოველდღე გამოცოცხლებაა თბილისის იპოდრომზე. აქ არსებულ საცხენოსნო სპორტულ ბაზასთან ყოველგვარი პირობებია შექმნილი ნაყოფიერი, შემოქმედებითი წვრთნისათვის. იპოდრომის ბილიკებზე დაიდგა მყარი დაბრკოლებები, რაც საშუალებას იძლევა სისტემატურად მოეწყოს „სტიპლჩეზში“ მონაწილე ცხენთა წვრთნა. თბილისელი სპორტსმენები მ. ჩალის ხელმძღვანელობით ყოველდღიურად იმაღლებენ სპორტულ დონეს.

ა. დგებუაძე,
სპორტის ოსტატი,
თ. გაჩეჩილაძე.

• • •

სურათებზე: პირველთანრიგოსანი სპორტსმენი ვ. პაროიანი, რომელიც მწვრთნელის მ. ჩალის ხელმძღვანელობით ეუფლება დაბრკოლებათა გადალახვის ტექნიკას (ზევით). სპორტის ოსტატი მ. მეძმარიაშვილი საწვრთნელი ვარჯიშის დროს (ქვევით).

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

ჩვენი ანზორი

როცა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელს მ. კეკელიძეს აბაშიდან 17 წლის ანზორ ლეჟავა მოჰგვარეს, იგი სხვებივით აღფრთოვანებაში არ მოსულა. მწვრთნელს მისთვის ჯერ სირბილი უნდა ესწავლებინა, შემდეგ კი კალათბურთის თამაში, მაგრამ გულის სიღრმეში მწვრთნელი დარწმუნებული იყო, რომ 2 მეტრზე მაღალი ჭაბუკი თავის დროზე ქართული კალათბურთის საიმედო ძალად იქცეოდა.

ანზორი დამჯერე, წყნარი და მუყაითი მოწაფე გამოდგა. მწვრთნელსა და მოსწავლეს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. რეგულარულმა ვარჯიშმა, ზომიერმა დღის რეჟიმმა ანზორს ჯანმრთელობა გაუკაჟა. სპორტს არც სწავლაში შეუშლია მისთვის ხელი — 1954 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა სკოლა და იმავე წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

უკვე მომდევნო წელს ა. ლეჟავა ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა. სულ უფრო ხშირად ვარდებოდა კალათში გოლიათის ხელით ნატყორცნი ბურთი. ა. ლეჟავა მოწინააღმდეგეთათვის ნამდვილი პრობლემა გახდა. ამ მხრივ საყურადღებოა 1957 წელს ჩატარებული მატჩი ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდსა და თბილისის „ბურევესტნიკს“ შორის. ქართველ სპორტსმენს თამაშში მოუხდა განთქმული ცენტრალური თავდამსხმელის ა. პეტროვის წინააღმდეგ. მთელი თამაშის მანძილზე მაყურებელთა შეუნელებელ ინტერესს იწვევდა ამ ორი „ზემაღალი“ კალათბურთელის ორთაბრძოლა. ანზორმა აშკარად დასჯაბნა თავისი ცნობილი მეტოქე, თითქმის სავსებით უვნებელჰყო საკუთარი ფარის მისადგომები. ეს იყო ახალგაზრდა სპორტსმენის პირველი დიდი გამარჯვება, რომელმაც მას საკუთარი ძალების რწმენაც განუმტკიცა.

ა. ლეჟავა არ განეკუთვნება იმ მოთამაშეთა კატეგორიას, რომლებიც თავიანთი სპორტული ბიოგრაფიის გარკვეულ ეტაპზე აღარ იზრდებიან სპორტული თვალსაზრისით. 1959 წელს თბილისელ სტუდენტთა ტანმაღალი მოთამაშე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს. ამ გუნდის რიგებში ლეჟავა გამოდიოდა ჩინეთის უძლიერესი გუნდების წინააღმდეგ.

მხოლოდ შემთხვევითმა ტრავმამ არ მისცა ანზორს საშუალება თავისი ძალები მოესინჯა რომის ოლიმპიადაზე. სამაგიეროდ, იმ წელს იგი ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში — თბილისის „დინამოში“. ჩვენი საუკეთესო გუნდის შემადგენლობაში კიდევ უფრო სრულად გამომჟღავნდა ახალგაზრდა კალათბურთელის დიდი სპორტული შესაძლებლობანი. საპასუხისმგებლო შეხვედრები, რომლებსაც თბილისის „დინამო“ ატარებს, წარმოუდგენელია ლეჟავას მონაწილეობის გარეშე. ასე იყო შარშანდელ სეზონშიც, როცა ანზორმა ბრწყინვალედ ჩაატარა თამაშები ევროპის ჩემპიონთა თასზე. თბილისელ კალათბურთის მოყვარულებს კიდევ დიდხანს ეხსომებათ მისი შარშანდელი თამაში მოსკოველ არმიელთა წინააღმდეგ. ამ შეხვედრაში ანზორს რამდენიმე „დარაჯი“ დაუყენეს და ვერც ერთმა ვერ გაართვა თავი მათს წინაშე დასახულ ამოცანას.

ოქროს ასოებით ჩაიწერება ლეჟავას სპორტულ ბიოგრაფიაში ჟენევის დაუვიწყარი მატჩი, რომელშიაც იგი ესპანელთა ფარის მთავარი „ბომბარდირის“ როლში გამოდიოდა. ფენომენალური ზანგი ჰაიტაუერიც კი გააკვირვა მეტოქის ძლიერმა თამაშმა, ხოლო ადგილობრივ პრესაში ასეთი შენიშვნაც გაჩნდა: „გიგანტი ლეჟავა ძალზე ახლოსაა კალათბურთის ფართან, მაგრამ ეს გარემოება მას ვერ აშორებს მოედანზე მყოფ ამხანაგებთან...“

სწორედ ამ ძლიერი თამაშისათვის ჩარიცხეს ანზორი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში, რომელმაც გასულ წელს ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ დიდ წარმატებაში ღირსეული წვლილი ანზორ ლეჟავასაც მიუძღვის. ამერიკელ სტუდენტთა ნაკრებთან თამაშის ბედი სწორედ მისმა უკანასკნელმა ტყორცნამ გადაწყვიტა.

ახლა კალათბურთელი და ინჟინერი გულმოდგინედ ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც ბრაზილიაში ჩატარდება. და იმედია, რომ გულშემატკივრებს კიდევ ბევრჯერ გაახარებს ქართული კალათბურთის ისტორიაში ეს ყველაზე ტანმაღალი სპორტსმენი.

შ. ჰიაბრიშვილი

* * *

სურათზე: ა. ლეჟავა მოწინააღმდეგის ფართან.



ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

იმ დიდი პრესტიჟის გამო, რომლითაც ჩოგბურთის სამყაროში ავსტრალიელები სარგებლობენ, ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევს ხოლმე ამ ქვეყნის ე. წ. „ღია ჩემპიონატი“, რომელიც ფაქტიურად ძლიერ საერთაშორისო ტურნირს წარმოადგენს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ავსტრალიის „ღია ჩემპიონატში“ უცხოელს გაემარჯვოს.

ვაჟთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი როი ემერსონი და ახალგაზრდა მზარდი სპორტსმენი კენ ფლეტჩერი. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ემერსონმა — 6:1, 6:2, 6:1. ასევე ორი ავსტრალიელი გავიდა ქალთა შორის ფინალშიც, სადაც მარგარეტ სმიტმა სძლია ჯენ ლებანს — 6:2, 6:2. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ასპარეზობა ვაჟთა წყვილებს შორის, სადაც ფრედ სტოლმა და ბობ ჰევიტმა (ორივე ავსტრალია) მეტად მძაფრი ბრძოლის შემდეგ სძლიეს თავიანთ თანამემამულეებს კენ ფლეტჩერსა და ჯონ ნიუკომბს.

კალათბურთის ამბები

ბუდაპეშტი. მტკ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდმა სძლია ავსტრიის „უნიონ ნობელენგენს“ ანგარიშით 79:54 და მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება.

სოფია. ბულგარეთის თასი კალათბურთში დარჩა ვაჟთა შორის ცდნა-ს, ხოლო ქალთა შორის — სოფიის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს.

თბილისის 6 ნომერ[illegible] [illegible]ცენტრის სექციაში ბევრი ჭაბუკი და გოგონაა გაერთიანებული. ისინი აქ იდგამენ ფეხს სპორტის ამ სახეობაში. გაივლის წლები და ვინ იცის, იქნებ მათ შორისაც გამოჩნდეს ვინმე, რომელიც თანდათან დაიპყრობს სპორტულ მწვერვალებს.

• • •

სურათზე: პატარები მორიგი ვარჯიშის წინ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ოლიმპიური მინიატურები

ისტორიული ნახტომი

ზოგმა შეიძლება არ იცის, რომ ბოსტონისა და ტერ-ოვანესიანის რეკორდებს სიგრძეზე ხტომაში ზოგიერთი ისტორიული წყარო „გაუფასურებით“ ემუქრება. ისტორიკოს იულიუს აფრიკელის ცნობით ერთ-ერთი ოლიმპიური თამაშის დროს ბერძენ ეხიონს უჩვენებია 52 ბერძნული ფუტი, რაც 16,66 მეტრის ტოლია. აქ გადამწერის ტექნიკურ შეცდომასთან როდი გვაქვს საქმე, ამ შედეგს იმეორებს კიდევ რამდენიმე ისტორიული წყაროც. იქნებ სამმაგი ხტომა აისახა ამ შედეგით? მაგრამ ბერძნები საერთოდ არ იცნობდნენ ხტომის ამ სახეობას.

ფიქრობენ, რომ 16,66 მეტრი წარმოადგენს სამი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ორი ნახტომის ჯამს. როგორც ჩანს, ბერძნები პატივს სცემდნენ არა შემთხვევით წარმატებას, არამედ სტაბილურ შედეგს.

სიხარულის საზღვარი

ძველ ბერძენთათვის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების სიხარული ყველა გრძნობაზე ძვირფასი იყო. ერთხელ, გვატყობინებს ლეგენდად ქცეული ამბავი, დიაგორე როდოსელის ორმა ვაჟმა გამარჯვებულთა დაფნის გვირგვინი დაიმსახურა. დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ შვილებმა მიირბინეს მამასთან, შეისვეს მხრებზე და ასე გამოიყვანეს სტადიონიდან. ამ დროს მაყურებელთაგან მას მიუახლოვდა ლაკონიის მთებში გაზრდილი სპარტანელი და ლაკონიურად უთხრა: „მოკვდი, დიაგორე, რადგანაც ცაში ვეღარ ახვალ!“.

ამ მჭიდრო წინადადებაში ასეთი ფართო აზრი იყო ჩაქსოვილი: დიაგორემ მიაღწია ამქვეყნიური სიხარულის საზღვარს, ამაზე დიდ სიხარულს მხოლოდ ცაში ასვლა მიანიჭებს ადამიანს, ეს კი მოკვდავთათვის შეუძლებელია.

მოხდა საბედისწერო დამთხვევა. მოხუცის გულმა ვეღარ დაიტია მოზღვავებული სიხარული და გამარჯვებული შვილების მხრებზე დალია სული.

საოცარი ნათლია

იქნებ ვინმემ არ იცის, რომ ტერმინი გიმნასტიკა წარმოქმნილია ბერძნული სიტყვიდან „გიმნოს“, რაც ტიტველს ნიშნავს. საკვირველი აქ არაფერია; ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეთა უმრავლესობა ტიტველი გამოდიოდა შეჯიბრებაზე. სიტიტვლე თანდათან ვარჯიშობის სინონიმად იქცა და ვარჯიშთა რთულმა კომპლექსმა სწორედ აქედან მიიღო ეს საოცარი სახელწოდება.

სპორტული ტანსაცმლის უქონლობას რამდენადმე ავსებდნენ იმით, რომ ტანზე ისვამდნენ ქონს და შემდეგ იფარავდნენ ნილოსის ნაპირებიდან მოტანილი ქვიშით. ამ პროცედურას ემსახურებოდა ორი ოთახი: ელეოთეზიუმი (გასაქონი) და კონისტერიუმი (ქვიშაში ამოსავლები).

მანძილი და ელენთა

ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე გრძელი სარბენი მანძილი არ აღემატებოდა 24 სტადიას, ანუ დაახლოებით 4614 მეტრს. როგორც ჩანს, რბენის ტემპი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ეს მანძილს შეეფერებოდა: ისტორია მიუთითებს, რომ ამ მანძილის ფინიშზე ზოგიერთი მორბენალი ცოცხალი ვეღარ აღწევდა. დაფნის გვირგვინს ერთ-ერთ ასეთ მსხვერპლად შეეწირა სპარტანელი ლადასი, რომელიც მკვდარი დაეცა ზედ ფინიშის ხაზთან.

პლინიუსის გადმოცემით, მორბენლის ყველაზე დიდი მტერი იყო ელენთა, რომელიც რბენისას საშინელ ტკივილებს იწვევდა. ბევრი ათლეტი სამკურნალო სასმელებს მიმართავდა, მაგრამ გამარჯვების დიდების მოტრფიალე ზოგიერთი ოლიმპიელი, იმავე პლინიუსის ცნობით, ქირურგიული ჩარევით იკვეთავდა ამ ორგანოს, რათა შემდეგ აღარ შეწუხებულიყო ტკივილებით.

აუხსნელი ფაქტი

1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე კურიოზული შემთხვევის ავტორი გახდა უნგრელი მოცურავე ფერენც ჩიკი. 100 მეტრზე ცურვაში მან პირველი ადგილი დაისაკუთრა. მაგრამ ეს გამარჯვება მოიპოვა იმდენად ზეადამიანური დაძაბვისა და ენერგიის ხარჯვის წყალობით, რომ დაიკლო წონაში 4 კილოგრამი, და ეს მოხდა რაღაც 57,6 წამში. სპორტის ფიზიოლოგთათვის დღესაც აუხსნელი რჩება ეს ფაქტი.



უსიტყვოდ...

ნახატი ა. სკოტორეიკოსი.

საჭიროა ფორმულის შეცვლა

პოპულარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, ამჟამად ლონდონის „არსენალის“ ეწვრთნელმა ბილ რაიტმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ იმ სკანდალური ამბების გამო, რომლებიც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ხდება, საჭიროა მისი ფორმულის შეცვლა.

მისი აზრით, ნამდვილ ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს იმ თამაშს, რომელსაც გუნდები აწყობიან მეტოქის მოედანზე შეხვედრისას. იქ ისინი თავიანთი ინტერესების მაქსიმუმად ფრეს თვლიან, ამიტომ თავიდანვე „ბარიკადებს“ აგებენ დაცვაში და დროის გაყვანას ცდილობენ.

რა გამოსავალს ხედავს ბილ რაიტი? მისი აზრით, უფრო გონივრული იქნება, თუ გუნდები ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდებიან, როგორც ეს მიღებულია ეროვნული თასების გათამაშებისას. მაშინ აზრი არ ექნება თავიდანვე კარში ჩადგომას და მეორე მატჩის მოგების იმედით ბურთის გაუთავებლად აუტში ტყორცნას.

ამასთან ბ. რაიტი აღნიშნავს, რომ გაიზრდება კენჭისყრის მნიშვნელობა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მასპინძელი. რა თქმა უნდა, საკუთარ მინდორზე თამაში დიდი უპირატესობაა, მაგრამ თუ ამ სისტემას არ გამოვიყენებთ, თავს ვერ დავაღწევთ იმ გაუთავებელ გაუგებრობებს, რომლებსაც თასის ახლანდელ გათამაშებებში აქვს ადგილი.

რედაქტორი Ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00331